4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები, ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.6. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და/ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგან შემსყიდველზე.

4.7. ამ ხელშეკრულების 4.6. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.8. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს უფლებრივად და წივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორება:

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ ——5— კალენდარული დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3. გადახდის ფორმა: —უნაღდო——

5.4. გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

6.3. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%–ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილი მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6,4, თუ მიმწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

7. სხვა პირობები:

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 24. 11. 2016 წ. ჩათვლით.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7,3 ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4, ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.5. ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
_____	